

შპს „ჩხორობიზნეს ცენტრი“

ჩხოროწყუს რაიონში. სოფ. ლეწურწუმეს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის
გადამამუშავებელი, სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და
საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

ხელმოწერა:



ქ. თბილისი, 2021 წელი

1. შესავალი

შპს „ჩხორბიზნეს ცენტრი“ საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 2011 წლიდან. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი, ლიცენზირებული კარიერებიდან, შემგები მასალის, სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და მისი რეალიზაცია.

ამ ეტაპზე, კომპანია გეგმავს ჩხოროწყუს რაიონში, სოფ. ლეწურწუმეს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ კი ქვიშა-ხრემის სამსხვრევ დამხარისხებელი დანადგარის მოწყობას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ახალი სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) დანადგარის მოწყობასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის ანგარიში. ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი #1

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ჩხორბიზნეს ცენტრი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	დაბა ჩხოროწყუ, მშვიდობის ქ. №2
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	442260287
კომპანიის ხელმძღვანელი	მამუკა წურწუმია
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავება
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ლეწურწუმე

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

2.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა

შპს „ჩხორბიზნეს ცენტრი“ გეგმავს ქვიშა ხრეშის სამსხვრევ დამხარისხებელი დანადგარის მონტაჟს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი სოფ. ლეწურწუმეს მიმდებარე ტერიტორიაზე.

მიწის ფართობი, სადაც დაგეგმილია ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომლის საკადასტრო კოდია: 46.13.36.331. მიწა წარმოადგენს ფ/პ რომეო გაბისონიას (პ/ნ 62004026863) საკუთრებას, რომლისგანაც შპს „ჩხორბიზნეს ცენტრს“ აღებული აქვს გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულებით (იხ.დანართი 4).

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს საწარმოო ზონას, სადაც ოდითგანვე, წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა სამშენებლო კომპანია სს „აისი“-ს ბეტონის ხსნარის დამამზადებელი საწარმო და ამასთან ბლოკისა და ბეტონის ფილების, ასევე ბეტონის პანელების საწარმო, სადურგლო და რკინის საამქრო, აქვე ფუნქციონირებდა შპს „ტაქსუსი“-ს უზარმაზარი სახერხი საწარმო, საშრობი ინფრასტრუქტურით, რომელიც აწარმოებდა ხის დახარისხებას, ხერხვას, შრობას და შემდგომ აგზავნიდა სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საბერძნეთში და იტალიაში.

ობიექტის ტერიტორიაზე, დაზიანებული სახით, თუმცა მაინც შემორჩენილია ძველი შენობა, რომელიც განახლება და გამოყენებული იქნება ადმინისტრაციულ შენობად. შესაბამისად, ახალი შენობის მოწყობის ან/და მშენებლობის საჭიროება არ იქნება.

კომპანიას, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეწურწუმეს ტერიტორიაზე, კერძოდ კი, მდ. ხობისწყალზე გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზია #10000881; 29.07.2019. გაცემული სსიპ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ. ლიცენზირებული ობიექტი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 300 მ მანძილით. აღნიშნული კარიერიდან ნედლეულის შემოტანა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდება მდინარის სანაპიროს გავლით, დაუსახლებელ ტერიტორიაზე და ნედლეულით დატვირთული სატვირთო მანქანების გადაადგილება სოფლის ტერიტორიაზე საჭირო არ იქნება.

ხოლო, რაც შეეხება მზა პროდუქციის გატანას საწარმოს ტერიტორიიდან, მისი გატანა მოხდება ძარაგადახურული ავტომანქანებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში.

შპს „ჩხორბიზნეს ცენტრის“ მიერ დაგეგმილი საწარმოს სრული ტერიტორიის GPS კოორდინატებია:

N	X	Y
1	263202.261	4711954.122
2	263208.163	4711955.785
3	263239.590	4711964.139
4	263245.412	4711963.492
5	263298.224	4711957.958
6	263295.887	4711940.182
7	263274.691	4711940.935
8	263272.720	4711921.971
9	263252.570	4711922.763
10	263249.190	4711893.474
11	263191.359	4711900.298
12	263196.227	4711924.453

სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი განთავსდება ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდის ფარგლებში და ინფრასტრუქტურის ჩათვლით დაიკავებს დაახლოებით 1000 კვ.მ ფართობს. უშუალოდ დანადგარის განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია:

N	X	Y
1	263245	4711908

საწარმოს საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი, დაშორებულია დაახლოებით 120-130 მ მანძილით. ობიექტის მომიჯნავედ დაახლოებით 50 მეტრში დგას საწარმოო შენობა-ნაგებობები, რომელიც ადრე წარმოადგენდა ყველის და კარაქის საწარმოებს. ამ ეტაპზე საწარმოები არ ფუნქციონირებს.

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისაგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

ნიადაგის ზედაპირი წარმოდგენილია ქვიშა-ხრემოვანი მასალით, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ გვხვდება და მისი მოხსნის საჭიროებაც არ არის.

ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება სოფლის არსებული გზები.



სურ. 1 - საპროექტო ტერიტორია




სურ. 2 - საპროექტო ტერიტორიის ზედაპირი



სურ. 3 - საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ მდებარე ყოფილი საწარმო



სურ. 4 - საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზა



სურ. 5 - საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური რუკა საპროექტო ტერიტორიის და ლიცენზირებული ობიექტის მითითებით

2.2 საწარმოს მიერ გამოყენებული მასალები და წარმოებული პროდუქცია

საწარმო, მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში იმუშავებს წელიწადში დაახლოებით 330 დღეს, დღეში 8 საათიანი რეჟიმით. საწარმო წლის განმავლობაში გადაამუშავებს 130 000 ტონა ნედლეულს, რის შედეგადაც მიიღებს 119 000 ტონა მზა პროდუქციას სხვადასხვა ფრაქციების სახით.

აქედან გამომდინარე საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა იქნება: 25მ3/სთ (45ტ/სთ), დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკის შემთხვევაში 200 მ3დღ.დ (360ტ/დღ.დ), წელიწადში 330 დღიანი სამუშაო რეჟიმის შემთხვევაში 66 000 მ3 (119 000 ტ/წელ).

2.3 საწარმოს მიერ წარმოების პროცესში გამოსაყენებელი რესურსები

საწარმო იმუშავებს ელექტროენერგიაზე და მოწყობილი იქნება დენის საკუთარი, 400 კვტ. ტრანსფორმატორი, რომელსაც მოემსახურება ენერგო პრო ჯორჯიას რეგიონული ფილიალი. იქიდან გამომდინარე, რომ ტექნოლოგიურად მოხდება სასარგებლო წიაღისეულის სველი წესით გადამუშავება, საწარმო საათში მოიხმარს 25 ტონა წყალს, რომლის აღებაც მოხდება მდ. ხობისწყლიდან სპეციალური ტუმბოს მეშვეობით.

2.4 ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

დანადგარი აღჭურვილი იქნება ინერტული მასალების სამსხვრევი და დამახარისხებელი დანადგარების სათანადო სრული კომპლექტაციით. მის შემადგენლობაში შევა შემდეგი ძირითადი დეტალები და კვანძები: მიმღები ბუნკერი, სამსხვრევი დანადგარი, დამხარისხებელი დანადგარი, ქვიშის სარეცხი დანადგარი და ლენტური ტრანსპორტიორი.

საწარმოს მუშაობის ციკლის აღწერა:

1. დანადგარის ტერიტორიის მახლობლად, 300 მეტრში არსებული ლიცენზირებული კარიერიდან ბალასტის შემოტანა ავტოთვითმცლელელებით;
2. ბალასტის მიწოდება მიმღებ ბუნკერში;
3. ბუნკერიდან მასალის გადატანა ჰორიზონტალურ საცერში;
4. საცერიდან ქვიშის მიწოდება გამრეცხ დანადგარში;
5. საცერიდან ქვიშა გამოცლილი მასის გადატანა სამსხვრევ დანადგარში;

6. სამსხვრევი დანადგარიდან დამსხვრეული მასალის გადაადგილება ჰორიზონტალურ საცერზე, გარეცხვა და დახარისხება სხვადასხვა ზომის ფრაქციებად.

საწარმოში ბალასტის გადამუშავებით წელიწადში საშუალოდ მიიღება 119 000 ტონა ქვიშის და ღორღის სხვადასხვა ფრაქცია.

2.5 დასაქმებულების რაოდენობა და სამუშაო რეჟიმი

ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე დასაქმებული მიმდებარე ტერიტორიასთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობა, დაახლოებით 25 ადამიანი. ობიექტი წლის განმავლობაში იმუშავებს 300 დღეს, დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

2.6 ობიექტზე საჭირო ტექნიკის ჩამონათვალი

ობიექტს მოემსახურება 4 ერთეული სატვირთო მანქანა, 1 დამტვირთველი და 1 ბულდოზერი. სატვირთო მანქანები აღჭურვილი იქნებიან მარის გადასახური მოწყობილობით. აღნიშნული ტექნიკის საწვავით გამართვა მოხდება ქალაქში არსებული ავტოგასამართ სადგურზე. გარდა საწვავით გამართვისა, ობიექტის ტერიტორიაზე ავტომანქანების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, ზეთის შეცვლა და ა.შ დაგეგმილი არ არის. აღნიშნულ მომსახურებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში არსებული ტექ. მომსახურების ცენტრი.

2.7 წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები

2.7.1 სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება

შპს „ჩხორბიზნეს ცენტრი“- ს ქვიშა - ღორღის სამსხვრევ - დამხარისხებელ საწარმოში წყლის გამოყენება მოხდება სასმელ - სამეურნეო, საწარმოო და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით.

საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ბუტილიზირებული სახით. ხოლო, სამეურნეო წყალი აღებული იქნება სოფლის კუმუნალური სამსახურიდან.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის რაოდენობაზე და საწარმოს მუშაობის რეჟიმზე. საწარმოში დასაქმებული იქნება 25 ადამიანი, ხოლო წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 330-ს. ვინაიდან ერთ მომუშავე პერსონაზე სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის დღის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობად გათვალისწინებული 45 ლ, ანუ 0,045 მ³ წყალი, ხოლო საშხაპის წყლის ხარჯი ერთი სამუშაო დღის განმავლობაში იქნება 350 ლ, ანუ 0,35 მ³. დღის და წლის განმავლობაში საწარმოში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჯამური რაოდენობა იქნება:

სასმელი წყალი:

$$25 \text{ კაცი} \times 0,045 \text{ მ}^3/\text{დღ} = 1,125 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

$$1,125 \text{ მ}^3/\text{დღ} \times 330 \text{ დღ} = 371 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

სამეურნეო წყალი:

$$1 \text{ დღ} \times 0,35 \text{ მ}^3/\text{დღ} = 0,35 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

$$0,35 \text{ მ}^3/\text{დღ} \times 330 \text{ დღ} = 115,5 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

ჯამურად სასმელ-სამეურნეო წყალი:

$$371 \text{ მ}^3/\text{წელ} + 115,5 \text{ მ}^3/\text{წელ} = 486,5 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

2.7.2 ტექნიკური წყლით მომარაგება

საწარმო ბალასტს გადაამუშავებს სველი მეთოდით. პროცესის უზრუნველყოფის მიზნით წყლის აღება მოხდება მდინარე ხობისწყლიდან. საწარმო საათში მოიხმარს დაახლოებით 25 ტონა (25მ³) წყალს. მისი სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, წელიწადში 330 დღის და დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით მდ. ხობისწყლიდან წლის განმავლობაში ასაღები წყლის რაოდენობა იქნება 66 000 (66 000მ³) ტონა ტექნიკური წყალი. სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ტერიტორიაზე მოეწყობა სალექარი ორმო, რომელიც არხის საშუალებით დაუკავშირება მდინარე ხობისწყალს.

საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური წყალი ასევე გამოყენებული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოში ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოყენებული წყლის წლიური ხარჯი არ აღემატება 50 მ³/წელ. შესაძლო ხანძრის შემთხვევაში წყლის აღება ასევე მოხდება მდ. ხობისწყლიდან.

2.7.3 სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვა

საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობა იანგარიშება მოხმარებული წყლის 5%-იანი დანაკარგით, რაც შეადგენს: $486,5 \text{ მ}^3/\text{წელ} \times 0,05 = 24,3 \text{ მ}^3/\text{წელ}$ (წლიური დანაკარგი) შესაბამისად, საწარმოში წლის განმავლობაში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის რაოდენობა იქნება:

$$486,5 \text{ მ}^3/\text{წელ} - 24,3 \text{ მ}^3/\text{წელ} = 462,2 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

აღნიშნული წყლების შესაგროვებლად ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 15-20მ³ ტევადობის ჰერმეტიკული სასენიზაციო ორმოს მოწყობა, რომელზეც ასევე დაერთებული იქნება ტუალეტის

კანალიზაცია. ორმოს გაწმენდა მოხდება შევსების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საასენიზაციო ორმოს გაწმენდის შემდგომ სამეურნეო - საყოფაცხოვრებო-საკანალიზაციო წყლები გატანილი და ჩაშვებული იქნება ქ. ჩხოროწყუს საკანალიზაციო ქსელში.

2.7.4 ტექნიკური ჩამდინარე წყლების მართვა

ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი ტექნოლოგიური ხაზის დანადგარების მიერ გამოყენებული წყლის შეგროვება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარში. ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის დროს მოსალოდნელი 20%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით (აორთქლება, ნედლეულის დასველება და სხვა), ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის საათური, დღიური და წლიური დანაკარგი იქნება:

$$25\text{მ}^3/\text{სთ} \times 0.20 = 5\text{მ}^3/\text{სთ}$$

$$200\text{მ}^3/\text{დღ.ლ} \times 0.20 = 40\text{მ}^3/\text{დღ.ლ}$$

$$66\ 000\text{მ}^3/\text{წელ} \times 0.20 = 13\ 200\ \text{მ}^3/\text{დღ.ლ}$$

წყლის დანაკარგის გათვალისწინებით საწარმოში წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლის ხარჯი იქნება:

ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყალი:

$$25\ \text{მ}^3/\text{სთ} - 5\ \text{მ}^3/\text{სთ} = 20\ \text{მ}^3/\text{სთ}$$

$$200\ \text{მ}^3/\text{დღ} - 40\ \text{მ}^3/\text{დღ} = 160\ \text{მ}^3/\text{დღ}$$

$$66\ 000\ \text{მ}^3/\text{წელ} - 13\ 200\ \text{მ}^3/\text{წელ} = 52\ 800\ \text{მ}^3/\text{წელ}.$$

ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები დაბინძურებული იქნება მხოლოდ შეწონილი ნაწილაკებით. აღნიშნული ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის დაგეგმილია ჰორიზონტალური სალექარის მოწყობა, რომლის მოცულობა დაახლოებით 200მ³ იქნება. ასეთი მოცულობის სალექარი ჩამდინარე წყალში უზრუნველყოფს შეწონილი ნაწილაკების შემცირებას. სალექარში გაწმენდილი ჩამდინარე წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ხობისწყალში. ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის კოორდინატებია **X=263185; Y=4711858**.

საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი სალექარის GPS კოორდინატები იქნება: **X- 263219; Y-4711899**. აღნიშნული სალექარი საწარმოო დანადგარებიდან დაშორებული იქნება 28 მეტრით და შესაბამისად სალექარი საწარმოსთან დაკავშირებული იქნება 28 მეტრი სიგრძის და 1 მ სიღრმის მქონე არხის

საშუალებით. თავის მხრივ სალექარი მდ. ხობისწყლიდან დაშორებულია 55 მ-ით. შესაბამისად აღნიშნული სალექარი მდ. ხობისწყალთან დაკავშირებული იქნება 55 მ სიგრძის და 1მ სიღრმის მქონე არხის საშუალებით.



სურ. 6 - სალექარის და წყალჩამების წერტილები

2.7.5 სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მართვა

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობის გამოსათვლელად გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ როგორც ავლნიშნეთ, საწარმოს განთავსების ნაკვეთი წარმოდგენილია არსებული შენობა-ნაგებობებით, რომლის გარემონტებაც იგეგმება პროექტის განხორციელების შემთხვევაში. აღნიშნულ შენობა ნაგებობებს დაკავებული აქვს დაახლოებით 700-800კვ.მ. შესაბამისად ატმოსფერული ნალექების წარმოქმნა მოსალოდნელია 4 000 მ² ფართობზე. აღნიშნულ ფართობზე მოსული ატმოსფერული ნალექები სადრენაჟო არხების საშუალებით შეგროვდება და გაიწმინდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ სალექარში. შეგროვებას დაქვემდებარებული სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც:

Q - არის სანიაღვრე წყლების მოცულობა მ³/დღ.

F - საწარმოს ტერიტორიის ის ფართობი, სადაც მოხდება სანიაღვრე წყლების შეგროვება (ჰექტარში).

მოცემული საწარმოსთვის აღნიშნული ფართობი 4000 მ²-ია ანუ, 0,4 ჰა;

H - ნალექების რაოდენობა და მიღებულია სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მიხედვით, კერძოდ: ჩხოროწყუს მონაცემების მიხედვით ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მიღებულია 2053 მმ/წელ. ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი შეადგენს 173 მმ. წვიმის საათური მაქსიმუმი იქნება - 10 მმ.

K - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე და მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 0,09.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება:

$$Q_{\text{წელ}} = 10 \times 0,4 \times 2053 \times 0,09 = 739,08 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

2.8 ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა

სახიფათო ნარჩენები - იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვა არ მოხდება ობიექტის ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. თუმცა ობიექტის ტერიტორიაზე განთავსდება სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის შესაბამისი ჰერმეტიკული კონტეინერი. სახიფათო ნარჩენის წარმოქმნის შემთხვევაში, მისი გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

არასახიფათო ნარჩენები - საწარმოში, სასარგებლო წიაღისეულის რეცხვის შედეგად წარმოქმნილი წყლის სალექარში გაწმენდის შედეგად დარჩება ლამი, რომელიც დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე და მისი გატანა მოხდება პერიოდულად სარეალიზაციოდ (ძირითადად მისი გამოყენება ხდება დაზიანებული გზების ამოსავსებად, გზის და სხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებში).

3. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს: არაორგანული მტვერი. იქიდან გამომდინარე რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება ხდება სველი მეთოდით, მტვრის გამოყოფა მნიშვნელოვნად იქნება შემცირებული. გარდა ამისა, დანადგარი აღჭურვილი იქნება ევროპული სტანდარტის მქონე მტვერდამჭერი მოწყობილობით, ციკლონით, რომელიც უზრუნველყოფს არაორგანული მტვრის მაქსიმალურ დაჭერას.

აქედან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების ნორმირებულ მაჩვენებლებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

3.1 საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: არაორგანული მტვერი.

ცხრილ - 3.1 - ში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები, გაფრქვევის სიმძლავრეები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 3.1 - მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

#	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზღვ) მგ/მ ³		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღეღამური	
1	არაორგანული მტვერი	2909	0.5	0.15	3

საწარმო ვალდებულია ისე მოაწყოს თავისი საქმიანობა, რომ თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაცული იქნას ცხრილ - 3.1-ში მოყვანილი მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები, რისთვისაც საჭიროა ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტი დაცვა.

საწარმოო ობიექტის მიერ გარემოში გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში საშუალებას იძლევა მოყვანილ იქნეს საწარმოო ობიექტის ემისიის წყაროები და მათი ტერიტორიული განაწილება. აღნიშნული მახასიათებლების ჩამონათვალი ქვემოთაა მოცემული, ხოლო ტერიტორიული განაწილება საწარმოს გენ-გეგმაზეა დატანილი.

აღნიშნული მახასიათებლების - საწარმოს პრინციპული ფუნქციონირების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილი - გარემოს უმთავრესი დამაბინძურებელი წყაროებია:

1. ბალასტის ავტოთვიომცლელებიდან ჩამოცლისა და ბუნკერში ჩაყრის ადგილებიდან (გაფრქვევის წყარო გ-1);
2. სამსხვრევი დანადგარი - (გაფრქვევის წყარო გ-2);
3. ინერტული მასალის (ქვიშის) ტრანსპორტირება ლენტური ტრანსპორტიორით - (გაფრქვევის წყარო გ-3);
4. ინერტული მასალის (ღორღის) ტრანსპორტირება ლენტური ტრანსპორტიორით - (გაფრქვევის წყარო გ-4);
5. ინერტული მასალის (ქვიშის) დასაწყობება (გაფრქვევის წყარო გ-5);
6. ინერტული მასალის (ღორღის) დასაწყობება (გაფრქვევის წყარო გ-6);

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

4.1 კვლევის მეთოდика

გაფრქვევები ინერტული მასალების მიღებისას

ინერტული მასალების ავტოთვითმცლელელებიდან ჩამოცლის და მისი ბუნკერებში გადაყრის დროს ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ.}} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ, (4.1)}$$

სადაც

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_4 - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - დანადგარის წარმადობა, ტ/სთ;

გაფრქვევები ინერტული მასალების შენახვისას

ინერტული მასალების შენახვის დროს ადგილი აქვს მტვრის გამოყოფას, რაც იანგარიშება ფორმულით:

$$M = K_3 \times K_4 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ გ/წმ. (4.2)}$$

სადაც:

K_3 და K_4 იგივეა, რაც ფორმულა (4.1)-ში;

K_6 - მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტი და საწარმოს პირობებისათვის ტოლია 1.45-ის.

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი და საწარმოს პირობებისათვის იცვლება 0.6-0.7 ფარგლებში;

f - საწყობის მასალით დაფარული ნაწილის ფართობია, მ²;

q - ფაქტიური ზედაპირის 1 მ² ფართობიდან ატაცებული მტვრის წილია, (გ/მ²წმ) და ტოლია 0.002-ის.

მაგნე ნივთიერებების სახეობები და ემისიის მოცულობა

საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: **არაორგანული მტვერი**. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

გაფრქვევები ინერტული მასალების გადამუშავებისას

ინერტული მასალების (ბალასტი, ქვიშა, ღორღი) ჩამოცლის და დასაწყობებისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება (4.1) ფორმულით, ხოლო აღნიშნული კოეფიციენტების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 4.1-ში:

ცხრილი 4.1.

მასალების გაფრქვევის მახასიათებლები

#	პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	განზომილების ერთეული	პარამეტრის მნიშვნელობა		
				ბალასტი	ქვიშა	ღორღი
1	მასალაში მტვრის ფრაქციის წილი	K ₁	მასიური წილი	0.03	0.05	0.01
2	მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილი	K ₂	“...“	0.04	0.03	0.01
3	მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₃	უგანზ. კოეფ.	1.2	1.2	1.2
4	გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვით უნარიანობის მახ. კოეფიციენტი	K ₄	უგანზ. კოეფ.	1.0	1.0	1.0
5	მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₅	უგანზ. კოეფ.	0.01	0.01	0.01
6	გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₇	უგანზ. კოეფ.	0.5	0.6	0.5
7	ობიექტის მწარმოებლობა	G	ტ/სთ	54	23,8	95,2
8	გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი	B	უგანზ. კოეფ.	0.4	0.4	0.4

წყაროს ტიპი: ინერტული მასალების საწყობი

ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი) საწყობიდან გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება (4.2) ფორმულით, ხოლო აღნიშნული კოეფიციენტების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 4.2-ში:

ცხრილი 4.2.

პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა	
		ქვიშა	ღორღი
1	2	3	4
მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_3	1.2	1.2
მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_5	0.01	0.01
დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_6	1.45	1.45
გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K_7	0.6	0.5
მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1 მ ² ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ ² წმ	q	0.002	0.002
ამტვერების ზედაპირია, მ ²	f	300	500

გაფრქვევები ბალასტის ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლისა და ბუნკერში ჩაყრის ადგილებიდან (გ-1)

ინერტული მასალების ბუნკერში ჩაყრისას ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 4.2 ფორმულით და ცხრილი 4.1 მონაცემების საფუძველზე. ასევე თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ ან ღია სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4, მაშინ მტვრის გაფრქვევის რაოდენობები ტოლი იქნება:

ბალასტი (გ-1 წყარო):

$$M = (0.03 \times 0.04 \times 1.2 \times 1.0 \times 0.01 \times 0.5 \times 54.0 \times 0.4 \times 10^6 / 3600) \times 0.4 = 0.0173 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0.0173 \times 2400 \times 3600 / 10^6 = 0.149 \text{ ტ/წელი.}$$

წყაროს ტიპი: სამსხვრევი პირველადი და მეორადი მსხვრევა - (გაფრქვევის წყარო გ-2)

ოპერაცია: მსხვრევა

მსხვრევანას ტიპი: სამსხვრევი

მტვრის მაქსიმალური გაფრქვევა (M_{2909}): 0.1800 გ/წ.

მტვრის წლიური გაფრქვევა (G_{2909}): 1.555 ტ/წელ.

$$G = G_{05} \cdot K / 1000$$

G_{05} – ინერტული მასალის წლიური რაოდენობა: 130 000 ტ.

K – 1 ტ მასალის მსხვერვისას სველი მეთოდით მტვრის გამოყოფის ხვედრითი კოეფიციენტი: (0.009 კგ/ტ პირველადი და მეორადი მსხვერვისას). ასევე თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4, მაშინ მტვრის გაფრქვევის რაოდენობები ტოლი იქნება

$$G=130\ 000 \times 0.009 \times 0.4/1000=0.468 \text{ ტ/წელ}$$

$$M= G \times 1000000/ (t \times 3600) \text{ გ/წმ};$$

t – წყაროს მუშაობის დროა: 2400 სთ/წელ;

$$M =0.468 \times 10^6/(2400 \times 3600)=0.0541 \text{ გ/წმ.}$$

წყაროს ტიპი: ქვიშის ტრანსპორტირება ლენტური ტრანსპორტორით საწყობში (გაფრქვევის წყარო გ-3)
ინერტული მასალების (ქვიშის) ლენტური ტრანსპორტორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M = W_{შებ.} \times K_{დაქ.} \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ,}$$

სადაც

$W_{შებ.}$ – ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევაა და ტოლია 3×10^{-5} კგ/მ² წმ;

$K_{დაქ.}$ – ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1მ-ის;

B – ლენტის სიგანეა, მ;

L – ლენტის ჯამური სიგრძეა, მ.

ამ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით და თუ გავითვალისწინებთ, რომ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4, მაშინ მტვრის გაფრქვევის რაოდენობები ტოლი იქნება:

$$M = 3 \times 10^{-5} \times 0.1 \times 0.5 \times 12 \times 0.4 \times 10^3 = 0.0072 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0.0072 \times 2400 \times 3600 /10^6 = 0.062 \text{ ტ/წელ.}$$

წყაროს ტიპი: ღორღის ტრანსპორტირება ლენტური ტრანსპორტორით საწყობში (გაფრქვევის წყარო გ-4)
ინერტული მასალების (ღორღის) ლენტური ტრანსპორტორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M = W_{შებ.} \times K_{დაქ.} \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ,}$$

სადაც

$W_{შებ.}$ – ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევაა და ტოლია 3×10^{-5} კგ/მ² წმ;

$K_{დაქ.}$ – ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1მ-ის;

B _ ლენტის სიგანეა, მ;

L _ ლენტის ჯამური სიგრძეა, მ.

ამ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით და თუ გავითვალისწინებთ, რომ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4, მაშინ მტვრის გაფრქვევის რაოდენობები ტოლი იქნება::

$$M = 3 \times 10^{-5} \times 0.1 \times 0.5 \times 16 \times 0.4 \times 10^3 = 0.0096 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0.0096 \times 2400 \times 3600 / 10^6 = 0.083 \text{ ტ/წელ.}$$

წყაროს ტიპი: ქვიშის დასაწყობება საწყობში (გაფრქვევის წყარო გ-5)

ინერტული მასალების (ქვიშის) საწყობში დაყრისას ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 4.1 ფორმულით და ცხრილი 4.1 მონაცემების საფუძველზე. ასევე თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ ან ღია სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4.

შესაბამისად გაფრქვევის სიმძლავრე იქნება:

$$M = (0.05 \times 0.03 \times 1.2 \times 1.0 \times 0.01 \times 0.6 \times 23.8 \times 0.4 \times 10^6 / 3600) \times 0.4 = 0.0114 \text{ გ/წმ};$$

ხოლო წლიური გაფრქვევები შესაბამისად ტოლი იქნება:

$$G = 0.0114 \times 2400 \times 3600 / 10^6 = 0.098 \text{ ტ/წელი}$$

ქვიშის საწყობიდან ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 4.2 ფორმულით და ცხრილი 4.2 მონაცემების საფუძველზე. ასევე თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ ან ღია სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4.

ზემოაღნიშნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

ქვიშისთვის:

$$M = 1.2 \times 0.01 \times 1.45 \times 0.6 \times 0.002 \times 300 \times 0.4 = 0.00251 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0.00251 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0.079 \text{ ტ/წელი.}$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობა გაფრქვევის გ-5 წყაროდან ქვიშის დასაწყობებისას ტოლი იქნება:

$$M = 0.02604 + 0.00251 = 0.02855 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0.225 + 0.079 = 0.304 \text{ ტ/წელი.}$$

წყაროს ტიპი: ღორღის დასაწყობება საწყობში (გაფრქვევის წყარო გ-6)

ღორღის საწყობში დაყრისას ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 4.1 ფორმულით და ცხრილი 4.1 მონაცემების საფუძველზე. ასევე თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ ან ღია სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4.

შესაბამისად გაფრქვევის სიმძლავრე თითოეული ფრაქციის დასაწყობებისას ტოლი იქნება:

$$M = (0.01 \times 0.01 \times 1.2 \times 1.0 \times 0.01 \times 0.5 \times 95,2 \times 0.4 \times 10^6 / 3600) \times 0.4 = 0.002538 \text{ გ/წმ};$$

ხოლო წლიური გაფრქვევები შესაბამისად ტოლი იქნება:

$$G_{\text{ღორღ.}} = 0.002538 \times 2400 \times 3600 / 10^6 = 0.0219 \text{ ტ/წელი.}$$

ღორღის საწყობიდან ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 4.3 ფორმულით და ცხრილი 4.2 მონაცემების საფუძველზე. ასევე თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ ან ღია სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4.

ზემოაღნიშნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით ღორღის თითოეული ფრაქციის საწყობისათვის მივიღებთ:

ღორღისთვის:

$$M = 1.2 \times 0.01 \times 1.45 \times 0.5 \times 0.002 \times 500 \times 0.4 = 0.00348 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0.00348 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0.115 \text{ ტ/წელი.}$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობა გაფრქვევის გ-6 წყაროდან ღორღის დასაწყობებისას ტოლი იქნება:

$$M = 0.007972 + 0.00348 = 0.0114552 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0.069 + 0.115 = 0.179 \text{ ტ/წელი.}$$

მიღებული შედეგების ანალიზი

საწარმოში ჩატარებული ინვენტარიზაციის თანახმად, სულ გამოვლენილ იქნა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 6 წყარო, ექვსივე არაორგანიზებული წყარო.

საწარმო ფუნქციონირების შედეგად ატმოსფეროში გამოფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ჯამური გაფრქვევა არაორგანული მტვრისა ტოლი იქნება:

არაორგანული მტვერი:

$$M_x = 0.0460 \text{ გ/წმ.}$$

$$G = 1,537 \text{ გ/წმ}$$

5. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

საწარმოს მუშაობის პროცესს თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი, ცხაური, ტრანსპორტიორები და სხვ.).

საწარმოს ტერიტორიდან, ხმაურის გავრცელების შეზღუდვის მიზნით მოეწეება ქარსაცავი ზოლი, საწარმოს სრულ პერიმეტრზე. ქარსაცავი ზოლი მოწყობილი იქნება სწრაფ და მაღალმოზარდი მარადმწვანე მცენარეებით.

6. ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე

საწარმოს ფუნქციონირებისას ნიადაგზე შესაძლო ზემოქმედება შესაძლებელია გამოიწვიოს:

- ტექნიკის ან სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიულმა დაღვრამ/გაჟონვამ;

აღსანიშნავია, რომ კომპანიის ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართვა (მათ შორის ზეთის შეცვლა) ობიექტის ტერიტორიაზე არ მოხდება.

ობიექტის ტერიტორიაზე რისკების შემცირების მიზნით განხორციელდება ტექნიკისა და ტრანსპორტის მუშაობის პროცესის მეთვალყურეობა და დაუყოვნებლივი რეაგირება დარღვევებზე.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ობიექტის ტერიტორია იქ ადრე არსებული ძველი წარმოების გამო, წარმოდგენილია ქვიშა-ხრემოვანი საფარით და მნიშვნელოვნად არის სახეცვლილი. ამას გარდა, ის ტერიტორია სადაც უშუალოდ გათვალისწინებულია სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა, მოწყობილი იქნება ბეტონის საფარით.

7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

საპროექტო არეალიდან უახოესი დაცული ტერიტორია კოლხეთის ეროვნული პარკი დაშორებულია 42 კმ მანძილით. შესაბამისად, პროექტის დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

8. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

